საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

27/02/2025

MES 4 25 0000415507

გადაწყვეტილება

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის „სახელმწიფო რესურსების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში

სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 24 აგვისტო№1010557 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიის "მენეჯმენტის" საბაკალავრო და "სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 ზეპირი მოსმენა გაიმართა 2025 წლის 18 თებერვალს.

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება კერძოდ:

ა) საბჭომ ამოიღო რეკომენდაციები 1.4 კომპონენტში:

- რეკომენდებულია, არჩევითი კომპონენტისთვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობა გაიზარდოს 24 - დან 25 - კრედიტამდე. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ყველა არჩევით კურსს მინიჭებული აქვს 5 კრედიტი. ვინაიდან აღნიშნული ხუთი არჩევითი კურსის გავლა ხორციელდება სამი სემესტრის განმავლობაში, სასწავლო დატვირთვა თავისთავად არათანაბრად იქნება განაწილებული.
- რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობა შესწორდეს და შესაბამისობაში მოვიდეს სავალდებულო და არჩევითი კურსების ჯამთან. აღნიშნული ამჟამად შეადგენს 122 კრედიტს.

ბ) საბჭომ 1.4 კომპონენტში დაამატა შემდეგი რეკომენდაცია:

რეკომენდებულა ფირმის ეკონომიკა, საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურული ანალიზი, სისტემის ეფექტურობის შეფასება და აუდიტი - გადატანილ იქნას არჩვით სასწავლო კურსებში, მომარაგების და მიწოდების ჯაჭვის მართვა, საჯარო ფინანსები, საერთაშორისო ორგანიზაციები მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებში გადავიდეს სავალდებულო სასწავლო კურსებში. ხოლო საჯარო სერვისების მართვა, მენეჯერული ეკონომიკა
და ფინანსური აღრიცხვა და აუდიტი დაემატოს სავალდებულო სასწავლო კურსებს.

აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე 1.4 კომპონენტი შეფასება არ შეცვლილა.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის,

მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - დავით აღმაშნებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „სახელმწიფო რესურსების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 18 თებერვლამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - დავით აღმაშნებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის "მენეჯმენტის" საბაკალავრო და "სახელმწიფო რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერზე ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 18 თებერვლის სხდომის ოქმის №210672, №02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამა მოიცავდეს სავალდებულო კურსებს, რომლებიც ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, როგორიცაა გაძლიერებულ კურსები (რესურსები) ეკონომიკის და საჯარო ადმინისტრირების მიმართულებით. აღნიშნული ნაბიჯი გააძლიერებს პროგრამის პროფილს.
- რეკომენდებულია, რომ სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირებად გამოცემაში წარდგენა არ იყოს სავალდებულო. წარდგენამ, რეცენზენტების უკუკავშირის მიღებამ, გადამუშავების მომზადებამ და პოტენციურად პროცესის გამეორებამ შეიძლება მნიშვნელოვნად გაახანგრძლივოს სწავლის პერიოდი. გადაწყვეტილება სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირებად გამოცემაში წარდგენის შესახებ უნდა ეფუძნებოდეს სტუდენტის ნებას. ექსპერტთა ჯგუფი აფასებს სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის მიერ მონაწილეებისთვის კონფერენციებში ჩართვის შესაძლებლობების უზრუნველყოფას.
- რეკომენდებულა ფირმის ეკონომიკა, საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურული ანალიზი, სისტემის ეფექტურობის შეფასება და აუდიტი - გადატანილ იქნას არჩვით სასწავლო კურსებში, მომარაგების და მიწოდების ჯაჭვის მართვა, საჯარო ფინანსები, საერთაშორისო ორგანიზაციები მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებში გადავიდეს სავალდებულო სასწავლო კურსებში. ხოლო საჯარო სერვისების მართვა, მენეჯერული ეკონომიკა და ფინანსური აღრიცხვა და აუდიტი დაემატოს სავალდებულო სასწავლო კურსებს

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 18 თებერვლიდან.
6. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ერთი წელი - 2026 წლის 18 თებერვლამდე.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“

საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სახელმწიფო რესურსების მართვა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№806151 18/08/2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სახელმწიფო რესურსების მართვა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	საჯარო მმართველობის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	122 ECTS
14	განხორციელების ადგილი	ცხინვალის გზატკეცილი მე-3 კილომეტრი/გორი/1400,საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2025 წლის 18 თებერვალი
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	ანგარიშის წარმოდგენა 2026 წლის 18 თებერვლამდე,
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2032 წლის 18 თებერვალი